



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/
Akhali Ganatleba

№37 (911) განთიქს 1998 წლიქს

03-09.12.2020

#განათლებისთვის



პროგრესიტი მასწავლებლებში სიფრული ინსტრუმენტების განვითარება უნდა იყოს



პეტრა ბაბილუა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საზოგადოებრივი მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ევროპული სკოლის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მათემატიკის პედაგოგი

კოვიდ სიტუაციამ ქვეყანაში ახალი რეალობა შექმნა და ეს ახალი რეალობა, ასევე, გვაქვს ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში. მთავარი პრობლემა, რომელიც ამ რეალობის შედეგად წარმოიშვა, არის თავად ტექნოლოგიების პრობლემა, რომელიც ვიცით, რომ ბევრ საჯარო სკოლაშია. არადა, მთავარია მოსწავლესთან კონტაქტი იმიტომ, რომ რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ, სხვადასხვა, თუნდაც ძალიან წარმატებულ პროექტებზე, თუ უშუალოდ მოსწავლესთან არ იქნება კავშირი და მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არ დამყარდება ურთიერთობა, ძალიან რთული იქნება შედეგის მიღწევა. „ტელესკოლა“ და სხვა პროექტები, რასაც სამინისტრო ახორციელებს, დამხმარე პროცესია, მაგრამ მთავარია უშუალო კავშირი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის.

დღეს, როდესაც ტექნოლოგიები ძალიან განვითარებულია, მათი დაუფლება საგრძნობლად ამარტივებს არსებულ რეალობას. მე ევროპულ სკოლაში ვმუშაობ. ეს არის საგანმანათლებლო დანერგვების, რომელიც ტექნოლოგიურად

ყველანაირად აღჭურვილია და ჩვენ, მასწავლებლებს, ძალიან ბევრი საშუალება გვაქვს პროფესიული განვითარებისთვის, ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით, ამდენად, მინდა, რომ ჩემი გამოცდილება გაგიზიაროთ.

პირველ ეტაპზე, როდესაც ონლაინ რეჟიმში მუშაობა დაიწყო, ცხადია, რთული იყო. პირველი იყო, კონტაქტი დაგვემყარებინა მოსწავლესთან და ეს ყოფილიყო რეალური კავშირი. ამის შემდეგ კი დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ, კარგი, ავსებითი გაკვეთილი, დამყარდა ეს კონტაქტი, ვიყენებთ სხვადასხვა პლატფორმებს (გუგლ მითი (Google meet) და ზუმი (Zoom), რომელიც ამ კავშირს გვიადვილებს, მაგრამ აქ უკვე შემდეგი პრობლემა დადგა – როგორ შევადგინოთ იმ დავალებებს, რომლებსაც ვუხსნიდი, ვმსჯელობდი, მაგრამ შემომჩნება პრობლემა რჩებოდა. ამ შემთხვევაში, ადაპტაცია გავუკეთეთ სხვადასხვა პლატფორმას. ერთ-ერთი პლატფორმა, მაგალითად, საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამას აქვს შემუშავებული, რომელიც მიზნულია ჩვენს ელექტრონულ ჟურნალზე და შესაძლებლობას გვაძლევს, ვაკონტროლოთ ეს სისტემა. პრინციპში, შეფასებისას, ვიყენებთ პლატფორმებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ავტომატურად ეს ნამუშევარი, ამ შემთხვევაში, შემაჯამებელი ტიპის სამუშაოებზე ვსაუბრობ, რადგან შემაჯამებელი ტიპის სამუშაო არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვლილი სამუშაო და მისი გარკვეული რაოდენობით შესრულება ჩვენი პრიორიტეტია და გეგმითაც განსაზღვრულია. ამგვარმა პლატფორმებმა მისი საშუალება მოგვცა, რომ მოსწავლეს აქვს წვდომა ჩვენ მიერ შექმნილ შემაჯამებელ დავალებზე, თვითონ ეს პლატფორმა უზრუნველყოფს იმას, რომ, ვთქვათ, ამ მომენტში მოსწავლეს არ შეუძლია სხვა ვებგვერდზე გადასვლა. დავალება შეიძლება გარკვეულ დროზე იყოს მიზნული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პლატფორმაზე შესულ მოსწავლეს გამოუჩნდება დავალება, რომელზეც გარკვეული დროის განმავლობაში ექნება წვდომა. როცა დაასრულებს, ავტომატურად შესაბამის პლატფორმაზე და შესრულებული დავალება უკვე მე მომდის. ეს ის იდეალური შემთხვევაა, რომელიც მხარდაჭერილია როგორც პროგრამების, ასევე თვითონ განმარტებული ორგანიზაციების მიერ.

თუ ზოგადად ვისაუბრებთ, რა შეიძლება ამ მიმართულებით ფურჩოთ მასწავლებლებს – გამოვიყენოთ გუგლის პროდუქტები, სადაც არის სპეციალური ფორმები, რომლებიც იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეს ონლაინ შევუქმნათ ქვიზები, ტესტები და ბავშვებს ჰქონდეთ ამაზე წვდომა.

მეორე მიმართულება – ჩვენ იმაზე უნდა ვფიქროთ, როგორ იყოს თვითონ ტესტის ფორმატი და მიზანრი. ჩნდება კიდევ ერთი პრობლემა – როდესაც მოსწავლე გარკვეულ პლატფორმაზე შედის, სადაც ლიმიტირებული დრო აქვს, ცხადია, დგება ტესტის ვალიდურობის საკითხი, ნამდვილად მოსწავლეს მიერ არის თუ არა შესრულებული ეს ტესტი, რამდენად ასწრებს მოსწავლე რეალურად ტესტის შესრულებას. ეს პრობლემა რომ დაგვლით, უკვე უნდა ვისარგებლოთ ე.წ. კომპლექსური ტიპის დავალებებით. სწორედ კომპლექსური დავალებები დაეხმარება მასწავლებელს, შექმნას არასტანდარტული დავალება, ვთქვათ, რომ ერთს პლუს ერთი უდრის ორი. კომპლექსური დავალება, კერძოდ მათემატიკაში, მოითხოვს გარკვეული ტიპის შემოქმედებითობას, გარკვეული ტიპის ცოდნას. განათლების სამინისტრომ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, შექმნა ასეთი დავალებების ბანკი, მეც ვიყავი ჩართული მათემატიკის დავალებების შექმნაში – პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. ყველა კლასისთვის მომზადდა კომპლექსური დავალების ნიმუშები. ამ ტიპის დავალებები შეგიძლიათ გამოიყენოთ შეფასებაში, როდესაც, დაეუშვათ, ვერ ვახერხებთ შემაჯამებელი წარებას, რადგან ისინი არ იწვევს სანდობას. რა აზრი აქვს ისეთ წერას, როცა არ გვაქვს მექანიზმი იმის შესამოწმებლად, ნამდვილად მოსწავლის მიერ არის შესრულებული თუ არა.

ამიტომ, ორი მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ, პირველი – შესაბამისი პლატფორმების ათვისება და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში, დღეს უკვე ძალიან ბევრია ასეთი; მეორე მიმართულება შეიძლება ისეთი ტიპის დავალებების შედგენა იყოს, რომელიც ევრევე არ იძლევა დანერგის საშუალებას – მოსწავლეს სჭირდება ფიქრი, დრო და ყველა იმ უნარისა და ცოდნის გამოყენება, რაც მან ამ სემესტრის ან გარკვეული თემის შესწავლის პერიოდში შეიძინა.

მე, პრაქტიკულად, არანაირი განცდა არ მაქვს, რომ სრულყოფილად არ წარვმართავ სასწავლო პროცესს. ცხრილის გამოყენებით ვმუშაობ, ვინც ჩვეულებრივად, როგორც სკოლის შენობაში ვინცები, 9-დან 5 საათამდე, ვატარებ ყველა გაკვეთილს. მათემატიკა სპეციფიკური საგანია და წინა სემესტრში, ძირითადად, ჩემი მცდელობა მიმართული იყო სწორედ იმისკენ, როგორ გამოვიყენებინა ეფექტური საშუალებები მათემატიკის გაკვეთილზე. ცხადია, მათემატიკის გაკვეთილზე წერა არის აქტუალური და მოსწავლე ამ პროცესს უნდა ხედავდეს. ამის ერთ-ერთი საშუალებაა (ძალიან აქტიურადაც ვიყენებ) დოკუმენტ კამერა, ასევე პადა, რომელზეც წერის შესაძლებლობა მაქვს, მოსწავლესაც ვუზიარებ ეკრანს და ისინიც ხედავენ. გარდა ამისა, კიდევ არსებობს სხვადასხვა ტიპის საშუალებები. აუცილებელია, რომ შესაბამისი ტექნოლოგიები გამოვიყენოთ. მე მაქვს სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, იმიტომ რომ, ცხადია, როდესაც მოსწავლე, 45 წუთის განმავლობაში, ზის ეკრანის მიღმა, გაკვეთილი ერთფეროვანი ვერ იქნება. მე XI-XII კლასებში ვასწავლი და ვინაიდან ძალიან ინტენსიური პროგრამა გვაქვს, გაკვეთილის ხანგრძლივობა 45 წუთია. თუმცა, რეკომენდირებულია სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების ვიდეო-მენეჯერებს, რომ ეს არ უნდა იყოს სრული 45 წუთი და იმიტომ, ისეთი ტიპის დავალებებს ვაძლევ, სადაც მოსწავლე, გარკვეული პერიოდი, დამოუკიდებლად მუშაობს და ეკრანიდან მოშორებულია.

განვითარებული ტექნოლოგიების პირობებში, ამის პრობლემა უკვე არ არის, მთავარია, რამდენად აქვს ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე წვდომა მოსწავლეს, შეიძლება მასწავლებელსაც მალაქითიან რეგიონებში, სოფლებში და ა.შ. მეორე, რამდენად უწყობს მასწავლებელს ხელს მისი პროფესიული განვითარება ამ ინსტრუმენტების ფლობაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და, ალბათ, აქედან გამომდინარე, მე, როგორც ერთი მასწავლებელი, ვფიქრობ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პრიორიტეტი სწორედ ციფრული ინსტრუმენტების განვითარება უნდა იყოს მასწავლებლებში. ყველა საგანს თავისი სპეციფიკა აქვს, მათემატიკას კი განსაკუთრებით, ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

განვითარებული ტექნოლოგიების პირობებში, ამის პრობლემა უკვე არ არის, მთავარია, რამდენად აქვს ინტერნეტსა და ტექნოლოგიებზე წვდომა მოსწავლეს, შეიძლება მასწავლებელსაც მალაქითიან რეგიონებში, სოფლებში და ა.შ. მეორე, რამდენად უწყობს მასწავლებელს ხელს მისი პროფესიული განვითარება ამ ინსტრუმენტების ფლობაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და, ალბათ, აქედან გამომდინარე, მე, როგორც ერთი მასწავლებელი, ვფიქრობ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პრიორიტეტი სწორედ ციფრული ინსტრუმენტების განვითარება უნდა იყოს მასწავლებლებში. ყველა საგანს თავისი სპეციფიკა აქვს, მათემატიკას კი განსაკუთრებით, ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.



სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს ონლაინ შეხვედრა

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს ონლაინ შეხვედრა გაიმართა, მონაწილეობდნენ: სან დიეგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტი და რექტორი – ადელა დე ლა ტორე და სალვატორ პეტრო ოჩოა, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტის მოადგილე ჯონათან ბრუკსი, აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების ოფიცერი ქეთრინ შევიცერი, ათასწლეულის ფონდი საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მალრადე, სან დიეგოს უნივერსიტეტის საქართველოს ფილიალის დეკანი ჰალიდ გუენი და SDSU-ს პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დანერგვების რექტორები – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიგა ზედანია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე.

საბჭოს წევრებმა SDSU-საქართველოს საქმიანობის შედეგები შეაჯამეს, სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამების განხორციელების საკითხზე იმსჯელეს და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავების გზები, ასევე, სტუდენტების დასაქმების პერსპექტივები განიხილეს.

მრჩეველთა საბჭოს ონლაინ შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა. მან საერთაშორისო პარტნიორებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მადლობა გადაუხადა სან დიეგოს უნივერსიტეტის პრეზიდენტსა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტის მოადგილეს საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის: „ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორია. სულ ახლახან ამერიკის სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოს ვიზიტმა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობა. ამ ნაყოფიერი თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში, განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მათ შორის, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ხელშეკრულება და SDSU-საქართველოს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამები.“

საქართველოს მთავრობასა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას შორის თანამშრომლობის შედეგად, წელს, რეგიონში პირველად, თსუ-ს ორმა საბაკალავრო პროგრამამ მიიღო ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების საკრედიტაციო საბჭოს (ABET) აკრედიტაცია, რაც ძალიან დიდი მიღწევა

ვა საქართველოს აკადემიური სფეროსთვის. ამასთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აგრძელებს ABET-ის აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებას და ვიმედოვნებ, რომ ძალიან მალე ისინიც შეძლებენ სტუდენტების მიღებას საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამებზე.“

მინისტრმა აღნიშნა, რომ SDSU-საქართველოს აკადემიური პროგრამები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს აბიტირენტებში და უნივერსიტეტს არაერთი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს, მათგან 61% დასაქმებულია, 39% კი სწავლას, მაგისტრატურის საფეხურზე, საზღვარგარეთ აგრძელებს.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ფილიალის, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის დაფინანსებით, მაღალი ხარისხის ტექნოლოგიურ და საინჟინრო ამერიკულ საბაკალავრო პროგრამებს 2015 წლიდან ახორციელებს. SDSU-სთან თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს სამ პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დანერგვების რექტორები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს – ეძლევა შესაძლებლობა, მოიპოვოს აკრედიტაცია და თავად განახორციელოს საერთაშორისოდ აღიარებული პროგრამები მეცნიერების, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) დარგებში.

აღსანიშნავია, რომ თსუ გახდა პირველი უნივერსიტეტი ABET-ის ისტორიაში, რომელმაც პირველივე ჯერზე მიიღო ამერიკული აკრედიტაცია შემდეგ პროგრამებზე: ელექტრონიკა და ელექტრონული ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერებები.

პროფესია პედაგოგი

ჩვენ, მასწავლებლებსაც გვტკივა ზოგჯერ, თქვენსავით

სამწუხაროდ, ბევრჯერ ამოვიკითხე, გავიგე და ვნახე მასწავლებლების მისამართით თითის გამვერისა და მათი გაუფასურების მცდელობა.

რომ, თურმე, დისტანციური სწავლება არაფრის მომცემია და ჩვენ არაფერს ვაკეთებთ, რომ მასწავლებლები სახლში სხედან და არაფერში იღებენ ფულს, რომ მასწავლებლები ვერ ატარებენ საინტერესო გაკვეთილებს და კიდევ ვინ მოთვლის, ენას ძვალი არ აქვსო და ჰო, ასეც არის.

თქვენ, ვინც ასე ან მსგავსად ფიქრობთ, იცით რამდენ შრომას წევს მასწავლებელი ისე, რომ არც ახმოვანებს ამას?!

თქვენ იცით, რამდენი მასწავლებელი ატარებს გაკვეთილებს ისეთ დროს, როდესაც საკუთარი შვილებისთვის გასამზადებელი აქვს სადილი?!

იცით, რამდენი მასწავლებელი იძინებს გამთენიისას იმიტომ, რომ მეორე დღისთვის მოამზადოს რესურსები?!

არ ვიცი, ხან მგონია, რომ იცით და, უბრალოდ, არ აღიარებთ, ან თუ არ იცით, ახლა მაინც იცოდეთ.

ის, რომ დისტანციური სწავლების დროს მოსწავლე ვერ იღებს ისეთ ხარისხიან განათლებას და კიდევ ბევრ ბენეფიციას, რაც სკოლაში გატარებულ დროს თან ახლავს, ყველა ვთანხმდებით, მაგრამ, როგორ გგონიათ, ადვილია ეკრანის მიღმა მოსწავლესთან ისეთი კომუნიკაციის დამყარება, რომ ჩანდეს ვინ გაიგო ან ვერ გაიგო, რამდენად გისმენენ ან არ გისმენენ? როდესაც მასწავლებლებს ცოცხალი ურთიერთობის სამუალები არ გვაქვს მოსწავლეებთან და ვცდილობთ, რაღაცნაირად, ჩვენთან დავტოვოთ ბავშვები, მათი ყურადღება არ დაეკარგოს, ინტერესი შევუნარჩუნოთ, იცით, ეს რის ფასად გვიხდება?! არ იცით.

ან იმაზე თუ ვაქვთ წარმოდგენა, გაკვეთილების ჩატარების გარდა, რამდენ საათს ვატარებთ კომპიუტერთან სხვადასხვა რესურსების მოძიებაში, დაეალებების შესწორებაში, რომლის დაწერაც ბევრ მოსწავლეს ეზარება?!!! მხოლოდ საკუთარი გადმოსახედიდან იყურებით ასეთი ადამიანები.

მხოლოდ საკუთარი დისკომფორტი პრიორიტეტი და არაფრად ავდებთ მასწავლებლების შრომას! რამდენი გამონევის წინაშე ვდგავართ მასწავლებლები. ყოველდღე ტრენინგებს ვესწრებით, ვასრულებთ დავალებებს, სხვადასხვა მითითებებს და + გაკვეთილებს ვგვემავთ. იცით, ეს რისი პასუხია? ვის საპასუხოდ? ვინც ამბობთ, რომ სამსახურში დადის ხარ და დრო არ გაქვთ, დავალების მომზადებაში დაეხ-

მართო ბავშვს, რომ თქვენც დადლილი ხართ, რომ თქვენთვისაც მიძიმე დროა... დიახ, არც ჩვენთვის არის ადვილი, მაგრამ ვინმე ეკითხება, უსმენს მასწავლებელს? არა. გაგვიკვირდებათ და არც ვსაუბრობთ ამაზე ხმამაღლა. მასწავლებელი, მოსწავლის გაგებასთან ერთად, ყოველთვის ცდილობს, გაუგოს მშობელს, ითანამშრომლოს მასთან, შეძლებისდაგვარად გვერდში დაუდგეს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „აიყოლიოს“ და მაქსიმალურად ჩართოს შვილის სასკოლო ცხოვრებაში. ხანდახან ეს არ გამოდის.

ჩემ გარშემო მყოფ ბევრ მასწავლებელს „თავზე აზის ბავშვი“, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რადგან ბალი დაიხურა და მაინც ცდილობს, სრულყოფილი გაკვეთილი ჩაატაროს.

იცით, რომ დისტანციურ სწავლებას ორჯერ, სამჯერ მეტი შრომა სჭირდება, ვიდრე სკოლაში ჩატარებულ გაკვეთილებს? არ იცით.

იცით, რამდენ წყენას და იმედგაცრუებას ვითმენთ ყოველდღიურად, როდესაც სხვადასხვა სოციალურ ქსელში უმადურ კომენტარს ამოვიკითხავთ?! გულში ეკლებივით როგორ გვესობა ყველა უსამართლო და დაუმსახურებელი პრეტენზია?! ხანდახან მგონია, რომ ვერასდროს დააფასებენ ასეთი ადამიანები მასწავლებლების ტოტალურ შრომას, რადგან ეს მხოლოდ შეგნებულ ადამიანებს შეუძლიათ. უბრალოდ, ადამიანები უნდა მიეჩვიონ ერთმანეთის შრომის პატივისცემას.

იცით, როგორ უხარია ყველა მასწავლებელს ჩართულობა? სასწაულად! ყველა შესრულებულ დავალებაში იგრძნობა პატივისცემა, ყურადღება. როდესაც შენთან ერთად ფიქრობს და მხარს გიჭერს ნამოწყებებში. როდესაც საინტერესო პროექტს სთავაზობ და აქტიურად ერთვებიან მშობლები, მოსწავლეებთან ერთად (დანებებით საფეხურზე განსაკუთრებით, მშობლის ჩართვის გარეშე, ბევრჯერ არ გამოდის პროექტი), ამაზე მეტად არაფერი ახარებს მასწავლებელს – ნებისმიერ საფეხურზე, სხვათა შორის. მშობლების ჩართულობის ბევრი პროექტი გამოკეთებია და არასდროს დამავინყდება მოსწავლეების უბედინერესი, გაბრწყინებული თვალები, როდესაც საკუთარ მშობლებს ან და/ძმებს უყურებდნენ ამ დროს. ჩართულობა, პირველ რიგში, თითოეული მოსწავლის წარმატებაზე აისახება, მერნშენით.

მერვე წელი დაინყო, რაც მასწავლებლად ვმუშაობ და ამ რვა წლის განმავლობაში ბევრ ტკილ სიტყვასთან, დაფასებასთან, მადლიერებასთან ერთად, ძალიან ბევრ უმადურობას, დაუნახაობასა და დაუფასებლობას გადავანყდი.

ამის მიუხედავად, მაინც ძველებური შემართებით ვაგრძე-



ლებ ჩემს საქმეს, რადგან ჩემი მოსწავლეების ერთი გაღმება, ერთი წარმატება ყველაფერს წონის – სწორედ ესაა მასწავლებლობის ჯადოსნური მაგია. რომ არა საქმისადმი ასეთი სიყვარული, ალბათ, ამდენი დაუმსახურებელი თითის გამოშვებებით დიდი ხნის წინ მივატოვებდით ჩვენს საყვარელ საქმეს.

P.S. ეს არაა მხოლოდ ჩემი ფიქრები. მხოლოდ ჩემი სათქმელი. ყველაფერი ერთად გავერთიანე, რომ, უბრალოდ, მეთქვა თქვენთვის: „ჩვენ, მასწავლებლებსაც გვტკივა ზოგჯერ, თქვენსავით“.

პატივისცემით, ნათია უჩავა. მასწავლებელი!



ერთიანი ეროვნული გამოცდები 2021 ხშირად დასმული კითხვები

რა ცვლილებაა ვალს ტესტებით დაკავშირებით?

2021 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საგამოცდო პროგრამები და დავალებათა ტიპები უცვლელი რჩება. რამდენიმე საგანში მხოლოდ გამოცდის ხანგრძლივობა და მაქსიმალური ქულა შემცირდება. ეს ცვლილება შეეხება მათემატიკის, ქიმიისა და ფიზიკის ტესტებს.

მათემატიკა
➤ 2021 წლის მათემატიკის ტესტში იქნება 35 (27 დახურული და 8 ღია ტიპის) დავალება, მაქსიმალური ქულა კი – 51.

ღია დავალებები შედგენილი იქნება ორი ორქულიანი, ოთხი სამქულიანი და ორი ოთხქულიანი დავალებისაგან. ტესტის შესრულებისათვის გამოყოფილი დრო იქნება 3სთ, მინიმალური ბარიერი კი – არანაკლებ 11 ქულისა (უმაღლეს სასწავლებლებს უფლება აქვთ უფრო მაღალი ბარიერი დააწესონ).

ფიზიკა და ქიმია
➤ ფიზიკისა და ქიმიის ტესტებზე სამუშაოდ გამოყოფილი იქნება 3 საათი, ხოლო მაქსიმალური ქულა – 63.

მათემატიკის ტესტი ვალს გართულდა თუ პირიქით, გააართვდა ამ ცვლილებაების შედეგად?

მათემატიკის ტესტის სირთულე არ შეცვლილა, რადგან დავალებების შემცირების პროპორციულად შემცირდა საგამოცდო დროც. ვეცადეთ, გადავხედოთ ფაქტორი ყოფილიყო ნაკლები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათემატიკის ტესტი იქნება უფრო ადვილი, ვიდრე გასულ წლებში იყო.

რებისტრატია როდის დაიწყება და როგორ გაივარდება?

რეგისტრაცია, სავარაუდოდ, მარტში დაიწყება. რეგისტრაცია მიმდინარეობს მხოლოდ ელექტრონულად, ცენტრის ვებგვერდზე. ვადებთან დაკავშირებით დეტალები ყოველ წელს, დაახლოებით, მარტის პირველ რიცხვებში ქვეყნდება.

ქიმიის გამოცდაზე ცხრილი დაგვიჩვენებ?

დიახ, გამოცდაზე დაგირიგდებათ პერიოდულობისა და ხსნადობის ცხრილები, ასევე მეტალთა აქტიურობის მწკრივი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტიდან ესა ამოიღეს?

არა, ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტს წელს არანაირი ცვლილება არ შეეხება.

სად მოვაპნო უმაღლესი სასწავლებლებისა და უაკულტაბების ჩაერთობა?

რეგისტრაციის დაწყებისთანავე, ცენტრის ვებგვერდზე, ქვეყნდება „ცნობარი აბიტურიენტებისათვის“, რომელშიც მითითებულია ყველა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი და სხვა დეტალური ინფორმაცია, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცნოს თითოეული აბიტურიენტი.

როგორც ცნობილია, ზოგიერთ პროგრამაზე ისევ ოთხი საგანი გარდა, რომელი საგნები იშლისხმება?

უმაღლესი სასწავლებლებმა (რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ) უკვე განსაზღვრეს, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სავარაუდოდ დამატებითი საგამოცდო საგნები შემდეგი ჩამონათვალიდან: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება. დეტალური ინფორმაცია გამოუცვლელია ცენტრის ვებგვერდზე, თუმცა, დეკემბრის ბოლომდე, უმაღლეს დაწესებულებებს უფლება აქვთ, ამ ჩამონათვალში ცვლილებები შეიტანონ.

ჯანდაცვის მიმართულებით, ნაბიძვირ შემთხვევებში, ოთხი საგნის ჩაბარება როგორც აბიტურიენტს?

ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო ოთხი საგანი იქნება: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა; 3. ბიოლოგია; 4. მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს, მინიმუმ, ერთს). მეოთხე საგნისათვის გამოყოფილი იქნება კოორდინებული ადგილები, თითოეულ საგანზე არანაკლებ 30%-ისა.

რა სლება იმ პროგრამაზე, რომლებზეც შემოქმედებითი ტური გარდა?

რაც შეეხება სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს, მათზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა, სავალდებულოა, შემოქმედებით ტურთან ერთად, ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა და უცხოური ენა, გრანტის მოსაპოვებლად კი, დამატებით – მათემატიკა ან ისტორია.

ქართულ ენაში მოუხალისის საგანმანათლებლო პროგრამაზე ისევ ზოგადი უნარების გამოცდა იქნება ჩასაბარებელი?

დიახ, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტების ჩარიცხვა არსებული ფორმატით გაგრძელდება.

როგორ მოხდება გრანტის გაცემა?

გრანტი სამი საგნის შედეგის მიხედვით გაიცემა, თუმცა, თუ უმაღლესი სასწავლებელი მოითხოვს მეოთხე საგნის ჩაბარებასაც, აბიტურიენტს დაფინანსების მოპოვების კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლევა – ის ორ საგანზე კონკურსში მიიღებს მონაწილეობას. ერთი კონკურსის ფარგლებში, აბსოლუტური

(საგრანტო) ქულა გამოითვლება შემდეგ საგნებში მიღებული შედეგების შესაბამისად: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა; 3. ისტორია ან მათემატიკა (მესამე საგანი). მეორე კონკურსისას, აბსოლუტური ქულის გამოთვლისას, გათვალისწინებული იქნება შემდეგ საგნებში მიღებული შედეგები: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა; 3. უმაღლესი დაწესებულების მიერ განსაზღვრული მეოთხე საგანი. აბიტურიენტი დაფინანსებას მიიღებს იმ საგნის გამოცდის შედეგის მიხედვით, რომლის საფუძველზეც იგი აკადემიური პროგრამისთვის გრანტის მეტ ოდენობას მოიპოვებს.

ჩასაბარებელი საგნებიდან რომელს მიენიჭება პრიორიტეტი გრანტის განაწილებისას?

მაღალი კოეფიციენტი (1.5) მიენიჭება ყველა საგანს, გარდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე, უცხოური ენებისა, რომელთა კოეფიციენტი იქნება 1.

თუ რომელია დამატებითი საგნები (მაგალითად, ფიზიკის გამოცდაში) ჩაიჭარი, გრანტის აღების უფლება მიენიჭება?

დიახ, ისტორიით ან მათემატიკით შეძლებთ გრანტის აღებას და ჩარიცხვების კონკურსშიც იმ სამი საგნით მიიღებთ მონაწილეობას, რომლებიც წარმატებით გექნებათ ჩაბარებული (ცხადია, მხოლოდ იმ პროგრამებზე განიხილება ჩარიცხვის საკითხი, რომლებზეც თქვენ მიერ ჩაბარებული 3 საგანია სავალდებულო).

რა სლება იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტმა მათემატიკის გამოცდას ჩააბარა და ისტორიის, სხვა პირითავე საგნებთან ერთად?

ამ შემთხვევაში, აბიტურიენტი ჩარიცხვებსა და საგრანტო კონკურსში მონაწილეობს იმ საგნის ქულით (მათემატიკა/ისტორია), რომელშიც უკეთეს შედეგს მიიღებს/რომლის საფუძველზეც იგი გრანტის მეტ ოდენობას მოიპოვებს.

თუ აბიტურიენტი ჩააბარებს დამატებითი გამოცდას (მაგალითად, ქიმიას) და ჩაიბრუნება იმ პროგრამაზე, რომელზეც ქიმიას არ გარდა, გამოცდაზე თუ არა მას ამ საგანში მიღებული ქულა?

თუ პროგრამა, რომელზეც აბიტურიენტი ჩარიცხვება, არ ითხოვს იმ დამატებით საგანს, რომელიც მან ჩააბარა, ამ საგნის შედეგს იგი ვერ გამოიყენებს ვერც ჩარიცხვისას და ვერც გრანტის მისაღებად.

კულინარიის პროგრამაზე რა საგნები გარდა?

სავარაუდოდ, პროფესიულ ტესტირებას გულისხმობთ – კულინარიაზე ჩასარიცხად ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება არ გჭირდებათ. თუ გაინტერესებთ პროფესიულ ტესტირებასთან დაკავშირებით ტესტის ნიმუში და ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ეს ყველაფერი ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე: naec.ge და vet.emis.ge. ბოლოს ეს გამოცდა შემოდგომაზე ჩატარდება, მომდევნო რეგისტრაცია კი, სავარაუდოდ, გაზაფხულზე დაიწყება.

კვლევა

განმავითარებელი შეფასება, როგორც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი

სკოლა-ლაგის სასტიკიანი პროგრამის ფარგლებში, სკოლა-ლაგის სტიკიანიანობა, შოთა ზურაბიშვილი-მბ, ვებინარზე განიხილა თავისი ნაშრომი „განმავითარებელი შეფასება საბავშვო ასაკის ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით“. კვლევის პრაქტიკისთვის ავტორმა განმარტა და მიმოიხილა განმავითარებელი შეფასების არსი, ურთიერთობა უპასუხობთან, ასევე აღწერა განმავითარებელი შეფასების ისტორია საბავშვო ასაკში, ისაუბრა იმ გამოწვევებზე და პრობლემებზე, რაც დღეს ამ მიმართულებით არსებობს. კვლევის მიზანი იყო ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში განმავითარებელი შეფასების შესახებ პროფესიული ცოდნის გაზრდა. სწორედ ასევე მიზნით, ჩვენი მკითხველისთვის, შოთა ზურაბიშვილის ნაშრომიდან და საუბრიდან გამომდინარე იმ საკვანძო საკითხებს, რომელიც მასწავლებლებს მნიშვნელოვნად დაეხმარება განმავითარებელი შეფასების სწორად გააზრებაში და გარკვეულ ინფორმაციას მიანიჭებს საბავშვო ასაკის საბავშვო ლიტერატურის განმავითარებელი შეფასებას და სხვა საინტერესო დეტალებზე. კვლევის მიერ ნაწილი ფოკუსირებულია საბავშვო

ველო – თავდაპირველად, შეჯამებული აღწერილობითი ინფორმაციის განმავითარებელი შეფასებაზე, საბავშვო ასაკის ეროვნული სასწავლო გეგმის დახრდვით, შემდეგ ნაწილი კი, გაანალიზებულია ეროვნული სასწავლო გეგმისა და სხვა შესაბამის დოკუმენტებში კონცეპტუალური განმავითარებელი შეფასება, საბავშვო ასაკის ეროვნული სასწავლო გეგმის განმავითარებელი შეფასების კუთხით, მასწავლებლებს უპასუხობის მიხედვით; განხილულია, ასევე, განმავითარებელი შეფასების კუთხით, მასწავლებლებს უპასუხობის მიხედვით განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი მომენტები და შესაბამისი კვლევის შედეგები, გოლოს კი, ნარკვევითი რეკომენდაციები. მკვლევარი ამბობს, რომ ექსპერტული ინტერვიუები ჰქონდა იმ აღმართებთან, ვინც უშუალოდ იყვნენ ჩართული სხვადასხვა თემის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, მათ შორის, მანანა რატიანი, სიმონ ჯანაშიასთან, ნათია ნიუბრთან და ა.შ. ამ ექსპერტული ინტერვიუებიდან მოგვრეული ცოდნა ფაქტობრივი ინფორმაციის დასადასტურებლად გამოიყენა, თუმცა, კვლევაში ინტერვიუების სახით არ შეუტანი, ადგილი იმ ექსპერტულ ინტერვიუებს დაუთმო, რაც ამ ინტერვიუების მნიშვნე-



ლოვან შეამდგინა ნაწილი მიიჩნია. მისი აზრით, ეს კვლევის ფოკუსს არავდა, ამიტომ ექსპერტული ინტერვიუებისგან მხოლოდ მზარდი ფაქტები დატოვა.

➔ შოთა ზურაბიშვილი:

- **დავინყე საერთაშორისო კონტექსტით – განმავითარებელი შეფასების მოკლე ისტორიით.**
მიუხედავად იმისა, რომ 1969 წლამდე, ადგილ-ადგილ, განმავითარებელი შეფასების შესახებ ჩანაწერები მინც გვხვდება, პირველად, როგორც სწავლისა და სწავლების პროცესის შეფასების ინსტრუმენტი და არა მხოლოდ მოსწავლეების აკადემიური მიღწევებისა, გვხვდება ბენჯამინ ბლუმთან, 1969 წელს, თუმცა, ამის შემდეგ არის ნაპრალი და აღარ გრძელდება მსგავსობა და ამ ტერმინის აქტიულობა. 1986 წელს ქვეყნდება (ფუნსი) 12 კვლევის შეჯამება, რომელიც ადგენს განმავითარებელი შეფასების კონკრეტულ მიღწევებს და შედეგებს. შემდეგი მნიშვნელოვანი თარიღი 1998 წელია, როდესაც ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კვლევა ქვეყნდება და თუკი ვინმე დაინტერესებულა ამ საკითხით, ალბათ, ყველა გადაწყდებოდა ვილიამის და ბლეჩის ნაშრომს „შავი ყუთის შიგნით“. ეს არის 250-ზე მეტი კვლევის ანალიზი. ავტორებმა „შავი ყუთის შიგნით“ იმიტომ უწოდეს, რომ, რეალურად, არავინ იცის, რა ხდება საკლასო ოთახში, ამიტომ მიამსგავსეს შავ ყუთს განმავითარებელი შეფასება და ეცადნენ, ამ მასშტაბურ კვლევით შეეღწათ შავ ყუთში.
მთავარი მიგნებები, რაც ბლექსა და ვილიამს ჰქონდათ, მოსწავლეების შეფასება და შემდეგ ამ შეფასების გამოყენება. მასწავლებლებმა სწავლების პროცესში მოდიფიკაციების შეტანა უნდა მოახდინონ, რაც რეალურად ზრდის სასწავლო შედეგებს. ამ შემთხვევაში, განმავითარებელი შეფასება დანახული იყო, როგორც გამოსაყენებელი ინსტრუმენტი არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ მოსწავლეებისთვისაც. მასწავლებელი მოსწავლეს რომ შეაფასებს, ლოკაურია, შემდეგ მოსწავლემაც შეიტანოს მოდიფიკირება და გაითვალისწინოს მასწავლებლის რეკომენდაციები და ა.შ. თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა მიიღონ ინფორმაცია განმავითარებელი შეფასებით და მანაც შეიტანოს ცვლილებები, რომ დახვეწოს სწავლის პროცესი. ამ კვლევის პირველ მიგნებაში სწორედ ესაა ხაზგასმული.
მეორე მთავარი მიგნება, ვფიქრობ, ჩვენთვისაც ძალიან კონტექსტუალური და აქტუალურია – მაღალი სტანდარტის დანერგვა კლასის შიგნით. სწორედ არსებული პრაქტიკების გაძლიერება და არა ახალ-ახალი, დამატებითი პროგრამების მოფორმება და შემოტანა ზრდის მოსწავლეების შედეგებს.
რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების განმარტებას – უამრავი არსებობს, ამიტომ აქ რომელიმე მათგანი არ შემოვიტანე. ჩვენს ერთ-ერთ ესგ-შიც კონკრეტული განმარტება მოცემული, თუმცა, მის მაგივრად, ვარჩევ აქცენტის იმ კომპონენტებზე გაკეთება, რაც აუცილებელია, რომ შეფასება იყოს განმავითარებელი.
✓ **პირველი** – ეს არის ეფექტური უკუკავშირის მიწოდება მოსწავლეებისთვის (უკუკავშირი ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია განმავითარებელი შეფასებისას);
✓ **მეორე** – მოსწავლეების აქტიური ჩართულობა ინდივიდუალურ სასწავლო პროცესში – განმავითარებელი შეფასება, მარტივად რომ ვთქვათ, მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას გულისხმობს;
✓ **მესამე** – შეფასების შედეგებში მასწავლებლის სტრატეგიების შეფასების გათვალისწინება;
✓ **მეოთხე** – შეფასების გავლენის გაცნობიერება მოსწავლეების მოტივაციასა და თვითშეფასებაზე, რაც შემდგომში სწავლის პროცესზე აისახება – აქცენტი კეთდება არა მხოლოდ კონკრეტულ პროდუქტზე, რასაც მოსწავლე ქმნის, არამედ მის მოტივაციაზე, თვითშეფასებაზე, თვითდისციპლინაზე, თვითდაჯერებულობაზე და ა.შ.
✓ **მეხუთე** – მოსწავლეების მიერ საკუთარი თავის შეფასების გაუმჯობესების გზების ცოდნის აუცილებლობა, განმავითარებელი შეფასებაში აუცილებლად უნდა იყოს მოცემული კონკრეტული გზა, თუ როგორ განვიითაროთ ესა თუ ის უნარი მოსწავლემ.

- **რა თეორიულ ჩარჩოებს ვიყენებთ და საიდან ვუყურებთ ჩვენს ეროვნულ სასწავლო გეგმას?**
ეს არის Andrade და Heritage – 2018 წლის ნაშრომი, სადაც სამ ძირითად პრინციპს გამოყოფენ.
✓ **პირველი პრინციპი:** განმავითარებელი შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია;
✓ **მეორე პრინციპი:** განმავითარებელი შეფასების შედეგად დაგროვებული მონაცემები გამოყენებულია სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად;
✓ **მესამე პრინციპი:** განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეებში ავტონომიურობისა და თვითრეგულაციის განვითარებას.
➤ **ალბათ, ყველა იცით, რომ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი ახორციელებდა პროექტს**, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი მასწავლებლებს პროფესიულ გადამზადებას გულისხმობდა. პროექტის ფარგლებში, ჩატარდა კვლევა (Matemática Policy Research), რომლის მიზანიც იყო მასწავლებლის გადამზადების შედეგების შეაღწევა და გაზომვა. რადგან გადამზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი განმავითარებელი შეფასება იყო – მასწავლებლებს ასწავლიდნენ, როგორ გამოეყენებინათ განმავითარებელი შეფასება. პირველი, რაც კვლევამ აჩვენა, ის იყო, რომ განმავითარებელი შეფასების გამოყენებისას, იზრდებოდა მასწავლებლების თვითდაჯერებულობა, მაგრამ კვლევამ ასევე გამოკვეთა ბარიერებიც, რაც ხელს უშლის განმავითარებელი შეფასების დანერგვას საქართველოს სკოლებში. პირველი ხელისშემშლელი პირობა კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობაა, მეორე – მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას დამატებით სამუშაოდ აღიქვამდნენ. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, სიანტერესოა პირველი პრინციპი – განმავითარებელი შეფასება სწავლების განუყოფელი ნაწილია. როგორც წესი, მასწავლებლებს ამას ვასწავლით, მაგრამ თუ სწორად არ მივანოდეთ ინფორმაცია, რასაკვირვებელია, შეიძლება აღიქვან, როგორც დამატებითი იდეა ან დამატებითი საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ჭირს მისი ბუნებრივად შერწყმა საკლასო პრაქტიკაში.
კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, რაც კვლევამ აჩვენა არის ის, რომ მასწავლებლებმა (რა თქმა უნდა, ნაწილმა) ასეთი მეთოდით ბავშვების შეფასების მიმართ ხაზგასმით გამოხატეს ნიშანდობა და უკმაყოფილება, რადგან, მათი აზრით, ეს მეთოდები მოსწავლეებს უფრო მეტ ავტონომიას აძლევს. ეს კვლევის ყველაზე საინტერესო მიგნებაა, რადგან ისევე რომ მიუზღუნდეთ მესამე პრინციპს – განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეებში ავტონომიურობის ზრდას და თვითრეგულაციის განვითარებას – რეალურად გამოდის, რომ განმავითარებელი შეფასება აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს! – ზრდის მოსწავლეების ავტონომიურობას. პარადოქსულია, მაგრამ ვითარება ასეთია.
➤ **განმავითარებელი შეფასების ტექნიკა თავდაპირველ ეროვნულ სასწავლო გეგმებში** მოაზრებული იყო, ძირითადად, ნეოლობითი კომენტარებით, რომლებიც ინერტობდა I-IV კლასებში და შემდგომ სასწავლო წლებში ნიშნის უნდა მიბმობდა კომენტარს. ამაზე საერთაშორისო კვლევებიც არსებობს. მათგან ყველაზე უფრო პოპულარულია 1998 წლის კვლევა, რომელიც ამბობს: როცა ბავშვს უწერ ნიშანს და ასევე კომენტარს, კომენტარი ჩაკარგულია, მასწავლებელი უფრო მეტ ყურადღებას ნიშანს აქცევს, კომენტარს კი ივიწყებენ, მათთვის ნიშანი პრიორიტეტულია. შესაბამისად, არაეფექტურია კომენტარისა და ნიშნის გაერთიანება. ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში, მოგვიანებით, განმავითარებელი შეფასების სხვა ტექნიკებსაც ვხვდებით, თუმცა, ყველაგან, მათ შორის ბოლო თაობის ესგ-ს ჩათვლით, ნიშანს + კომენტარი მაინც ნაშეყვან სტრატეგიად ვხვდებით. აი, ეს, ალბათ, კარგად გასაზრებელი და გადასახედი საკითხია.
➤ **განათლების სფეროს სეციალისტებსა და მკვლევრებს შორის ფართო დისკუსიის საგანია ურთიერთმიმართება გან-**

მავითარებელი შეფასებასა და უკუკავშირს შორის. ხშირად მასწავლებლები „განმავითარებელ შეფასებას“ აიცილებენ უკუკავშირთან. ორივე პროცესი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, თუმცა, მათ შორის არსებული კავშირის მიუხედავად, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირი ერთი და იგივე შინაარსის მატარებელი ცნებები არ არის. შეფასება პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს ხარისხის, რაოდენობისა და მოცულობის შემოწმებას. უკუკავშირი კი ინფორმაციაა, შემომწმეული საკითხის ირგვლივ. „განმავითარებელი შეფასება მასწავლებლისთვის საუკეთესო იარაღია, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას, მიანოდოს მოსწავლეებს დაუყოვნებლივ და უწყვეტი უკუკავშირი სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად“ (Shute, 2008).
ინგლისის მასწავლებლების ეროვნული საბჭოს ანგარიშში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ ეფექტური განმავითარებელი შეფასება, სხვა ფაქტორებთან ერთად, უკუკავშირსაც მოიცავს, რომელიც კონკრეტულია, დროული და სასწავლო მიზნებთანაა დაკავშირებული. ხშირად ინსტრუქციის მიწოდება და უკუკავშირი კონტინუუმის საპირისპირო ადგილებზე მყოფ ნერტილებად განიხილება, თუმცა, რეალურად, ისინი ერთმანეთზე გადაჯაჭვული. შესაძლებელია, უკუკავშირი ინსტრუქციის მიწოდების შემდეგ განხორციელდეს, ასევე, უკუკავშირმა შეიძლება ინსტრუქციის შინაარსიც კი შეცვალოს. საბოლოო ჯამში, უკუკავშირის მიზანი ისეთი ინფორმაციის მიწოდებაა მოსწავლისთვის, რომელიც შეამცირებს შუალედს „რა გაიგოს“ და „რა უნდა გაიგოს“ შორის.
Hattie-ს მიხედვით (1991) უკუკავშირის ეფექტურობა არაერთი კვლევით დასტურდება. თუმცა, მისი აზრით, ეფექტურობა მნიშვნელოვნად იკლებს, როდესაც შესასწავლი საკითხი, ამოცანა ან დავალება მოსწავლისთვის სრულიად უცხოა და რთული. ასევე, უკუკავშირი არ არის ეფექტური, როდესაც შეცდომებზე უფრო მეტად მიუთითებს, ვიდრე სწორად შესრულებულ ამოცანებზე. ხშირად შეეხება და დაჯილდოება გამოიყენება, როგორც უკუკავშირის მიწოდების სტრატეგიები, თუმცა კვლევები გვიჩვენებს, რომ შეეხება მოსწავლეების შედეგების ან სწავლის გაუმჯობესებასთან კავშირი არ აქვს. მკვლევართა აზრით, შეეხება განხილვა, როგორც უკუკავშირის ფორმა, მცდარი და არარეგულარულია. დაჯილდოების სისტემის გამოყენებაც ხშირად ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსწავლეების მიერ დავალების შესრულების ხარისხზე. გარეგანი განმამტკიცებელი ასუსტებს შინაგან მოტივაციას, განსაკუთრებით მაშინ, თუ მათი გამოყენება მოსწავლისთვის საინტერესო დავალებისა და ამოცანის შესრულების დროს ხდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პასუხი გავცეთ შეკითხვას, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს უკუკავშირი იმისათვის, რომ ეფექტური და დადებითი შედეგების მომტანი იყოს მოსწავლეების სწავლის გასაუმჯობესებლად? ეფექტიანი უკუკავშირი პასუხს სცემს მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ დასმულ შემდეგ შეკითხვებს: სად მივიდვარ? (რა მიზნები დასახული); როგორ მივიდვარ? (რა პროგრესი მაქვს მიზნისკენ მიმავალ გზაზე); რა არის შემდეგი? (რა უნდა გავაკეთო უკეთესი პროგრესისთვის). ეფექტური უკუკავშირის გამოყენება სასწავლო პროცესში არა მხოლოდ მასწავლებლების მიერ ხდება, არამედ თავად მოსწავლეების მიერაც. თვითუკუკავშირით შესაძლებელია მოსწავლეებში დაშვებული შეცდომების აღმოჩენის უნარის განვითარება, ხოლო იმისთვის, რომ მათ შედეგის გაუმჯობესება შეძლონ, იფიქრებენ და ცდიან ახალ სტრატეგიებს, მოიძიებენ დამატებით ინფორმაციას.
➤ **იმ ინფორმაციის მიხედვით, რაც მე განმავითარებელი შეფასების შესახებ მოვიპოვე** – ვესაუბრე მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებსა და ექსპერტებს – ვითარება ამგვარია: ძირითადად, მაინც იმაზე ვართ ორიენტირებული, რომ შევცვალოთ კონკრეტული პროდუქტი, რომელსაც მოსწავლე ქმნის. მაგალითად, ნაწერი, ესე და ა.შ. ასევე, ხშირად მოსწავლეს პიროვნულად ვაფასებთ – ყოჩაღ, კარგი გოგო ხარ ან კარგი ბიჭი! ამ კუთხით, საინტერესოა Hattie-ს ნაშრომი, რომელიც იმ ოთხ ძირითადად კომპონენტს გამოყოფს, რასაც

კვლევა

განმავითარებელი შეფასება უნდა ფარავდეს:

1. უნდა შეფასდეს პროდუქტი, რომელსაც ქმნის მოსწავლე;
2. უნდა შეფასდეს დავალების შესრულების პროცესი, ის სტრატეგიები, რომელსაც მოსწავლე პროდუქტის შექმნის დროს იყენებს;
3. უნდა შეფასდეს, რამდენად ავტონომიურია მოსწავლე პროდუქტზე მუშაობის პროცესში – რამდენად თავდაჯერებულია, მოტივირებული და თვითდისციპლინირებული.
4. ამის საპირწონედ, Hattie ამბობს, რომ: პიროვნების შეფასება არაფრის მომცემია, შესაბამისად, არანაირი შედეგის მომტანია მოსწავლის სიტყვებით შეფასება – ყოჩაღ, ძალიან მომეწონე!

რეკომენდაციები:

✓ პირველი რეკომენდაცია – ჩემი კვლევებიდან გამოიკვეთა, რომ გარკვეული ჩანაწერები ეროვნულ სასწავლო გეგმაში თანხვედრამა საერთაშორისო ცოდნასთან, თუმცა, ზოგიერთი მათგანი

ენინააღმდეგება საერთაშორისო გამოცდილებას. ამიტომ, ჩემი აზრით, ესგ-ზე მუშაობა იმდენად საპასუხისმგებლო და მასშტაბური პროცესია, რომ უფრო მეტად უნდა იყოს არეკლილი მასში საერთაშორისო დონეზე დაგროვილი მტიკცებულებები.

✓ მეორე რეკომენდაცია – სულ რომ იდეალური ყოფილიყო ჩვენი ესგ და მასში ასახული განმავითარებელი შეფასება, ეს მაინც არაფრის გვეუბნება იმ კუთხით, რომ, ის ვერ ასახავს საკლასო ოთახში არსებულ სიტუაციას. ამიტომ, ჩემი აზრით, აუცილებელია კვლევების ჩატარება როგორც უშუალოდ პრაქტიკის, ისე ლირებულებების თვალსაზრისით, რაც განმავითარებელ შეფასებასთანაა კავშირში. აუცილებლად უნდა დავინახოთ, რა ხდება უშუალოდ საკლასო ოთახში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეროვნული დოკუმენტების დონეზე მიდგომა და კონცეფცია დაიხვეწება, მთავარი მაინც ისაა, რა ხდება საკლასო ოთახში. შემდგომი უპირველესი ამოცანა სკოლებში

არსებული სურათის გამოვლენაა კვლევების გზით.

✓ მესამე რეკომენდაცია – „Mathematica Policy Research“-ის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს: სანამ იმაზე ვიზრუნებდეთ, რომ მასწავლებლებმა განმავითარებელი შეფასებით მოსწავლეებში ავტონომიურობა გაზარდონ, მანამდე საჭიროა, პირველ რიგში, მასწავლებლებმა თავად გაცნობიერონ მოსწავლეების განვითარების პროცესში მათივე ავტონომიურობის როლი. ცხადია, ღირებულებითი აცდენა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ყოველგვარი თემატური ინტერვენციების ეფექტურობას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ „Mathematica Policy Research“-ს კვლევის ძირითადი მიგნებები ქართულ ენაზეც გახდეს ხელმისაწვდომი, რომ დაინტერესებული პირების ფართო ჯგუფებმა შეძლონ კვლევის შედეგების გაცნობა.

მომზადდა ლალი ჯეღაძემ

ქართული სტუდენტები უსსოთში

მეტად უნდა ვაფასებდეთ დროს

რუბრიკის სტუმარია კატო მგებლაძე, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სტუდენტი

მოსწავლეობის პერიოდი

თბილისის 57-ე საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ჩემს ცხოვრებაში სკოლაში გატარებულ წლებს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ბევრი კარგი პედაგოგი მასწავლიდა. მათგან არა მხოლოდ ცოდნა მივიღე, არამედ მათმა თბილმა დამოკიდებულებამ და სიყვარულმა ჩემი შესაძლებლობებისადმი მტიკცე რწმენა ჩამომიყალიბა. სკოლაში მივეჩვიე ყოველდღიურ სირომას, ვისწავლე სირთულეების გადალახვა. ყველა საგანს თითქმის ერთ დონეზე ვსწავლობდი, თუმცა, განსაკუთრებით ლიტერატურა, მათემატიკა და ბიოლოგია მაინტერესებდა.

პროფესიის არჩევანი

პროფესიის არჩევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან ბევრი სფერო მაინტერესებდა. საბოლოოდ, არჩევანი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე შევარჩეე, სადაც 100%-იანი დაფინანსებით ჩავირიცხე. ფსიქოლოგიის შესავლის გავლის შემდეგ, ძალიან დაინტერესდი ფსიქოლოგიით და ამ მიმართულებით გადავწყვიტე სწავლა. სწავლის პერიოდში, მაღალი აკადემიური მოსწრების გამო, რამდენჯერმე სტიპენდია მივიღე, რაც ძალიან მეამაყება. 5 სემესტრი ვისწავლე საქართველოში, შემდეგ კი ბერლინში გადავედი საცხოვრებლად, მეუღლესთან ერთად, რის გამოც სწავლა შევწყვიტე.

ამჟამად ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ვსწავლობ ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, რაც ჩემთვის უდიდესი პატივია. ეს უნივერსიტეტი ფრიდრიხ ვილჰელმ მესამემ დააარსა 1809 წელს, 1949 წლიდან მეცნიერების – ალექსანდრე და ვილჰელმ ჰუმბოლდტების სახელს ატარებს. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი ბერლინში უძველესი და უდიდესია. სხვადასხვა დროს, აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები, რომელთა შორის 29 ნობელის პრემიის მფლობელია, მაგალითად, ალბერტ აინშტაინი, მაქს პლანკი, ემილ ფიშერი, რობერტ კოხი და ა.შ. აქ ასწავლიდნენ: გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ ჰეგელი, ჰერმან ებინგჰაუსი, კურტ ლევინი, ვოლფგანგ კოლერი და სხვანი.

როდესაც პირველად დავინახე უნივერსიტეტის შენობა, უდიდესი შთაბეჭდილების ქვეშ აღმოვჩნდი. მაშინ გერმანულად მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვიცოდი და რთული წარმოსადგენი იყო, რომ 2 წლის შემდეგ აქ სწავლას შევძლებდი. ჰუმბოლდტში სწავლა ჩემი ახდენილი ოცნებაა. ჩემს მეუღლესა და ოჯახის წევრებს მინდა მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ მიზნის მიღწევაში ხელი შემეწყვეს.



გზა ჰუმბოლდტის უნივერსიტეტამდე

ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი მოხვედრა, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე, საკმაოდ რთულია. 2018 წელს, როდესაც ჩავაბარე უნივერსიტეტში, 120 სტუდენტი შეირჩა – 4457 მსურველიდან. კონკურსის მთავარი კრიტერიუმი აბიტურის (ატესტატის) ნიშანია. როგორც წესი, მაღალ აბიტურის ნიშანი ითხოვენ (2018 წელს ყველაზე დაბალი აბიტურის ნიშანი, რომლითაც სტუდენტი ჩაირიცხა ამ უნივერსიტეტში, 1,2 იყო). ასევე უცხოელმა სტუდენტებმა უნდა წარადგინონ გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (TestDaf, DSH ან Goethe-Zertifikat C2), და ცნობა იმ უნივერსიტეტიდან, სადაც მანამდე სწავლობდნენ (რა საგნები აქვთ გავლილი, რამდენი სემესტრი აქვთ წასწავლილი, ნიშნები და ა.შ).

სწავლა გერმანიაში, ბაკალავრიატის საფეხურზე, უფასოა. სემესტრში ვიხდით, დაახლოებით, 315 ევროს. ეს არ გახლავთ სწავლის საფასური. ამ თანხის დიდი ნაწილით სტუდენტური სამგზავრო ბილეთის ხარჯები იფარება. თუმცა, ბინის დაქირავება ბერლინში საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ბევრი სტუდენტი, სწავლის პარალელურად, მუშაობს.

უცხოელი სტუდენტებისთვის არსებობს DAAD-ის პროგრამა. დამატებით, წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიებია გამოყოფილი, მაგალითად, Deutschlandsstipendium, Abschlussstipendium für Studierende, Abschlussstipendien für internationale Studierende, მაგრამ მათი მოპოვება ასეთ კონკურენტულ გარემოში საკმაოდ რთულია.

მსგავსება და განსხვავება ქართულ და გერმანულ უნივერსიტეტებს შორის

სხვა უნივერსიტეტებსა თუ ფაკულტეტებზე ვერ განვზოგადებდი. თუმცა, ჰუმბოლდტის მაგალითით შემოძლია გითხრა, რომ ამ უნივერსიტეტს ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს, სადაც სტუდენტს სხვადასხვა ენაზე შეუძლია სასურველი ლიტერატურის მოძიება. გერმანიაში აქცენტი, სწავლის პროცესში, თანამედროვე კვლევებზე კეთდება. ძალიან მაღალ დონეზე ისწავლება სტატისტიკა. ქართულ სასწავლებელთან შედარებით, გაცილებით მეტია სემესტრის განმავლობაში მოსამზადებელი ლიტერატურა. გამოცდებიც უფრო რთული გახლავთ. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში არ იწერება ლექციასა თუ სემინარზე დასწრების ქულები, არ გვაქვს შუალედური გამოცდები. ჩემი აზრით, ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლა როგორც თბილისში, ასევე ბერლინში ძალიან საინტერესოა. პროფესორ-მასწავლებლების მხრივაც, ორივე უნივერსიტეტში, ძალიან გამიმართლა და საუკეთესო ლექტორები მასწავლიდნენ და მასწავლიან.

ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ყველაზე საინტერესო სივრცე

ჩემთვის ყველაზე საინტერესო სივრცე უნივერსიტეტში ბიბლიოთეკაა. აღფრთოვანებას ვერ ვმაღავდი, როდესაც პირველად აღმოვჩინე არაჩვეულებრივ გარემოში, რომლის მსგავსიც მანამდე მხოლოდ ფილმებში თუ მენახა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა იქ მოწყობილი პატარა სივრცე, სადაც სათამაშოები და საბავშვო ნივთებია. ეს ადგილი სპეციალურად იმ სტუდენტებისთვისაა შექმნილი, რომელთაც პატარა ბავშვები ჰყავთ. მათ შესაძლებლობა აქვთ, მშვიდობა იმეცადინონ, სანამ ბავშვები მათთვის განკუთვნილ ადგილას თამაშობენ.

დისტანციური სწავლების უპირატესობა

საზოგადოების გარკვეული ნაწილი უპირატესობას პირისპირ სწავლებას (აუდიტორიაში) ანიჭებს. რა თქმა უნდა, პირისპირ სწავლებას ვერაფერი ჩანაცვლებს. მენტორება ის დრო, როდესაც სალექციო დარბაზში, ჩემს კურსელებთან ერთად, ძალიან საინტერესო ლექციებს ვესწრებოდი და პირდაპირი კონტაქტი გვქონდა ლექტორებთან. თუმცა, მე პირადად, ონლაინ სწავლებითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. იმის გამო, რომ 4 წლის ბავშვი მყავს, მუდმივად დროის დეფიციტს განვიცდიდი. ძალიან დიდი დრო მეხარჯებოდა სასწავლებელში სიარულში. ონლაინ სწავლებამ საშუალება მომცა, დავზოგო დრო და ენერჯია.

ჩრევალი უცხოეთში სწავლის მსურველთათვის

საზღვარგარეთ სასწავლებლად წასულ ახალგაზრდებს მრავალი დაბრკოლების გადალახვა უნევთ. რთულია უცხო



გარემოში თავის დამკვიდრება. სირთულეებს უკავშირდება უცხო ენაზე სწავლა, რაც გაცილებით მეტ დროსა და ნებისყოფას მოითხოვს, ვიდრე მშობლიურზე. თუმცა, ამავდროულად, ძალიან საინტერესოა საზღვარგარეთ სწავლა, ახალი კულტურის გაცნობა თუ ახალი კონტაქტების დამყარება. მიმართა, რომ ადამიანი ამ გზაზე სწავლობს ნამდვილ დამოუკიდებლობას. ვურჩევდი, სანამ სასწავლებლად წავიდოდნენ, მაქსიმალურად კარგად დაეუფლონ იმ ენას, რომელზედაც საზღვარგარეთ უნდა ისწავლონ. არ შეეშინდეთ შეცდომების დაშვების და მზად იყვნენ თავდაუზოგავი შრომისთვის.

გერმანული სტუდენტური ცხოვრება

გერმანული სტუდენტების დიდი ნაწილი დასაქმებულია. ისინი, სწავლის პარალელურად, მუშაობენ, არიან ძალიან დამოუკიდებლები, უმეტესად ცხოვრობენ მშობლებისგან განცალკევებით, შრომისმოყვარეები და აქტიურები არიან. ლექციაზე ცდილობენ, მაქსიმალური ინფორმაცია მიიღონ ლექტორისგან, დიდ დროს ატარებენ ბიბლიოთეკაში. თუმცა, ამ ყველაფერს უთავსებენ წვეულებებს, პარკში მეგობრებთან ერთად დროის სასიამოვნოდ გატარებასა თუ სხვა აქტივობებსაც. ბევრი მათგანი სპორტითაა დაინტერესებული.

მომავლის გეგმვა და იმედი

დიდი სურვილი მაქვს გერმანიაში მაგისტრატურაში გავაგრძელო სწავლა. ჩემთვის საინტერესო იქნებოდა, თუ გერმანიაში დასაქმებისა და გამოცდილების შექმნის საშუალება მომეცემოდა. ვიმედოვნებ, რომ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში მიღებული განათლება საქართველოში დასაქმებაშიც შემეწყობს ხელს. თუმცა, ამ საკითხზე ბევრს არ ვფიქრობ და მთლიანად ორიენტირებული ვარ სწავლაზე, ცოდნის მიღებაზე. ჩემთვის პრიორიტეტულია, მაქსიმალურად გამოვიყენო ის შესაძლებლობები, რომელსაც ჩემი უნივერსიტეტი მაძლევს.

შოშიდან დანახული სპარტოლოგი

ძალიან მიყვარს ქართული კულტურა. მომწონს ქართვლების ხელგაშლილობა, გულიანობა, ტემპერამენტი. თუმცა, გარკვეულ საკითხებს, აქაური გადმოსახედიდან, სხვაგვარად ვუყურებ. მიმართა, რომ საზიანოა ადამიანზე გადამეტებული მზრუნველობა, რაც ქართული აღზრდისთვის დამახასიათებელია; მომწონს, რომ გერმანელები მომავალ თაობას ძალიან დამოუკიდებლად ზრდინან; არ მიყვარს, საქართველოში, დადებით კონტექსტში რომ იციან თქმა, ადამიანის დასახასიათებლად, ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცო. ვისურვებდი, რომ მეტად ვაფასებდეთ დროს, ვიყოთ მეტად შრომისმოყვარეები, ვაცნობიერებდეთ, რომ შეგვიძლია ძალიან დიდ წარმატებებს მივაღწიოთ, თუკი არ დავზოგავთ თავს – ცხოვრებაში ბევრი რამ ჩვენს ძალისხმევაზე დამოკიდებულია.

ესაუბრა მაქა ყიფიანი

გარე დაკვირვების გაკვეთილი



ნინო კვიციანი
ნალკის №1 საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი

საბანო: ინგლისური ენა
სწავლების საფეხური: საბაზო
კლასი: VIII
მოსწავლეთა რაოდენობა: 13, კლასში არ არის სსმ მოსწავლე
გაკვეთილის თემა: „Bulling bites“
გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლეები დაეუფლებიან ბულინგთან დაკავშირებულ ლექსიკას, გაიუმჯობესებენ საკომუნიკაციო უნარებს ბულინგის თემაზე, განივითარებენ კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებით უნარებს.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა
ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

გაკვეთილის გეგმა შეესაბამება მერვე კლასის საგნობრივ პროგრამას, სახელმძღვანელოში – New Building Bridges-8 – გაკვეთილი შეირჩა ამ სახელმძღვანელოს თემატური გეგმის მიხედვით.

VIII. უცხ. საბ. 2. ნასწავლი ენობრივი საშუალებების გამოყენებით ტექსტის შინაარსის გააზრება და საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება;

VIII. უცხ. საბ. 4. ტექსტის გაგებამდე, გაგების პროცესში და გაგების შემდგომ შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება;

VIII. უცხ. საბ. 6. ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება სათანადო სტრატეგიების გამოყენებით;

VIII. უცხ. საბ. 12. ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარების გამოყენებით იდეების განხორციელება.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით)	დრო (წთ)
1	საორგანიზაციო საკითხების მოწესრიგება. აქტივობის მიზანი: მოსწავლეების მომზადება სასწავლო პროცესისათვის. აქტივობის აღწერა: აღვრიცხავ მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრებას, კლასს ვაცნობ საკლასო ოთახში გამოკრულ გაკვეთილის თემას, მიზანს და შეფასების რუბრიკას.	ვერბალური ახსნა თვალსაჩინოებების გამოყენებით	საერთო საკლასო	საკლასო ჟურნალი, ფლიპჩარტი მიზანშეწონილობა: მოსწავლეთა მომზადება და განწყობა სასწავლო პროცესისათვის.	2-3წთ
2	წინარე ცოდნის გააქტიურება. აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა პროვოცირება, წინა გაკვეთილზე ნასწავლი მასალის ცოდნის განმტკიცება. აქტივობის აღწერა: ვამონშებ საშინაო დავალებას – სისხრის ზმნიზებები – adverbs of frequency. მოსწავლეებს ვაძლევ განმავითარებელ შეფასებას.	მოსწავლეთა პრეზენტაცია	საერთო საკლასო	მოსწავლეთა საშინაო დავალების რეგულატი მიზანშეწონილობა: ბავშვების მზობის შემოწმება მომდევნო მასალაზე გადასვლამდე.	5-6წთ
3	Introduce the new vocabulary – სიტყვების მოსმენა და გამოკრება. აქტივობის მიზანი: მოსწავლეთათვის ახალი ლექსიკის გაცნობა. აქტივობის აღწერა: ფორმატის ფურცელზე დანერული მატყვს ახალი სიტყვები, ვახმოვანებ და ვავარჯიშებ მთელ კლასს წარმოთქმაში, სირთულის ადვილად გადალახვის მიზნით, წარდგენილ სიტყვებს თან ახლავს ქართული შესატყვისები.	მასწავლებლის მიერ გაკეთებული პრეზენტაცია	საერთო საკლასო	ფორმატის ფურცელი მიზანშეწონილობა: ვერბალურად მიწოდებული მასალის თვალსაჩინოდ გამოკვეთა. ეს რესურსი რჩება კლასში მოსწავლეთა შემდგომი ხელმისაწვდომობისთვის.	5წთ
4	Pre-reading and pre-listening activity – მოსმენისა და კითხვის წინა აქტივობა. აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა მომზადება მოსმენისა და კითხვის აქტივობისთვის. აქტივობის აღწერა: ვიდრე მოსწავლეები მოისმენენ და წაიკითხავენ ახალ ტექსტს, ვსვამ რამდენიმე შეკითხვას ბულინგის თემაზე, თან ვიყენებ სურათს, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში. კითხვები: What can you tell me about the picture? Have you ever seen the same scene anywhere? Do you think that this is the example of bullying?	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	მე-8 კლასის სახელმძღვანელო მიზანშეწონილობა: მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება ახალი მასალისთვის.	5-7წთ

5	Listening activity – მოსმენის აქტივობა. აქტივობის მიზანი: მოსმენის უნარის განვითარება. აქტივობის აღწერა: მოსწავლეები ისმენენ უცხო ტექსტს და თითოეულ აბზაცს ასათაურებენ ინდივიდუალურად.	ჩანაწერის მოსმენა	საერთო საკლასო	კომპიუტერი, სახელმძღვანელოს აუდიომასალა – TRACK-04. გვ.36.	2-3წთ
6	Reading – კითხვა. აქტივობის მიზანი: კითხვის უნარების განვითარება. აქტივობის აღწერა: მოსწავლეები წვეილებში ხმამაღლა წაიკითხავენ, ახლა უკვე დასათაურებული აბზაცების მიხედვით, მთლიან ტექსტს: ერთი მოსწავლე წაიკითხავს სათაურს, მეორე კი ამ ნაწილს დააკვირებს აბზაცთან.	ხმამაღალი კითხვა	ჯგუფური სამუშაო – მოსწავლეები წვეილებში შეასრულებენ ამ ამოცანას, რეგულაციების გათვალისწინებით.	სახელმძღვანელო, გვ.36.	7-8წთ
7	კითხვარის შევსება. აქტივობის მიზანი: მოსმენილი და წაკითხული მასალის გააზრების შემოწმება. აქტივობის აღწერა: მერხებზე ვანყოფ ფურცლებს, რომლებზეც შეკითხვები ბინერია, 1-2 წუთის შემდეგ ბავშვები წერილობით პასუხობენ ამ შეკითხვებს და ფურცლის მეორე მხარეზე დანერენ ერთ წინადადებას, რომელიც გადმოცემული იქნება მათი დამოკიდებულება ბულინგის მიმართ.	წერილი სამუშაო	ინდივიდუალური	თაბახის ფურცლები, მარკერები	8-10წთ
8	გაკვეთილის შეჯამება/შეფასება. საშინაო დავალების მიცემა. ვაჯამებ ჩატარებულ გაკვეთილს, მოსწავლეებს ვაძლევ საშუალებას, თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით შეაფასონ საკუთარი თავი, თავადაც ვაკეთებ განმსაზღვრელ შეფასებას, ბავშვებს ვეკითხები, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს თემა და გაკვეთილი მათთვის. შემდეგ ვაძლევ საშინაო დავალებას, თხზულება – How can we stop bullying?	ვერბალური ახსნა	საერთო საკლასო	საკლასო ჟურნალი, თვითშეფასების ფურცლები, დაფა და ცარცი	5წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

1. მოსწავლეებმა აითვისეს ახალი ლექსიკის ნაწილი;
2. შეძლეს უცხო ტექსტზე მუშაობისას სირთულეებთან და გამოწვევებთან გამკლავება;
3. სწორად პასუხობდნენ მოსმენისა და კითხვის შემდგომ დავალებებს.

შეფასება:

შეფასების რუბრიკები/სქემები
Criteria for Reading Comprehension

Reading for gist

- Identifies the main idea(s) or important information in the text 0-1 point
- Identifies facts / opinions in the text 0-1 point
- Matches headings to the paragraphs 0-1 point

Reading for Detailed information

- Identifies main characters, their characteristics / descriptions 0-1 point
- Identifies names of places in the text 0-1 point
- Identifies time of happenings/events 0-1 point

Organization/Structure

- Understands/ identifies elements of the text: title, subtitle, Parts of the text (introduction, body/the story, conclusion), Description of characters, nature, places, etc. 0-1 point

Language

- Identifies grammar points Finds different parts of speech (nouns, verbs, adjectives, adverbs, etc.) 0-1 point
- Identifies vocabulary (collocations, phrasal verbs, idioms, synonyms/antonyms, etc.) 0-1 point

Demonstration of Understanding

- Describes what has happened in the text 0-1 point

/Total Number of Points ————— 10/

Criteria for Speaking

Content

- Information presented is clear and accurate 0-1 point
- Use of facts/Examples: every major point is well supported with Relevant facts or examples 0-1 point
- Fluency: shows no hesitation in talking or answering questions 0-1 point

Pronunciation

- Speaks well and logically 0-1 point
- Excellent/good oral communication 0-1 point
- Mispronunciation does not interfere with comprehension 0-1 point

Syntax

- There are no grammatical errors of agreement (e.g. subject-predicate agreement) 0-1 point
- Maintains proper word order 0-1 point

Vocabulary

- Excellent/good variety of vocabulary 0-1 point
- Correct use of vocabulary 0-1 point

/Total Number of Points ————— 10/

გარე ღვაწლის განხორციელება

შეფასების რუბრიკის ნიმუში:

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭებათ ნული ან ერთი ქულა და, საბოლოო ქულის გამოსაყვანად, ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

Table with 11 columns (Criteria) and 10 rows (Scores 1-10). Criteria include: საინტერესო შესავალი, კვლევების/ნაშრომის წარმოდგენის უნარი, შემოქმედებითი უნარი, პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება, თემის გასაგებად წარმოდგენა, საუბარი, თვალსაჩინოებების გამოყენება, აუდიტორიასთან კონტაქტი, ინფორმაციის ფლობის უნარი, დროის ლიმიტის დაცვა, ჯამი.

პრეზენტაციის შეფასების სქემა
მაქსიმალური ქულა:10

Table with 2 columns: კრიტერიუმები, ქულა. Criteria include: მომზადებულია; საუბრობს ფაქტებზე და არგუმენტებზე დაყრდნობით; აუდიტორიას თავდაჯერებულად მიმართავს; იყენებს ვიზუალურ მასალას; პრეზენტაციის დასაწყისი და დაბოლოება ეფექტურია.

თვითშეფასების რუბრიკა

Table with 6 columns: კრიტერიუმები, არასოდეს 0, იშვიათად 0,5, ზოგჯერ 1, ხშირად 1,5, ყოველთვის 2. Criteria include: მოსწავლე იყენებს მასწავლებლის ინსტრუქციას და მითითებებს, მოსწავლე სწორად წარმოთქვამს უცხო სიტყვებსა და ფრაზებს.

Table with 5 columns: კრიტერიუმები, 1-4, 5-6, 7-8, 9-10. Criteria include: ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება, ჯგუფის მიერ სამუშაოს დაგეგმვა, ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება, ჯგუფის წევრთა ჩართულობა, ჯგუფის წევრთა შორის ურთიერთობა.


იუბილე

საქმეში ჩაღებულ სიყვარული

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საჯარო სკოლას არაერთი პედაგოგი ჰყვარია და ჰყავს, ვისთანაც შეუძლია იამაყოს. მათ გამოზარდეს თაობები, თავდაუზოგავად შრომობდნენ ყინვასა თუ სიცხეში, უშუქობასა თუ გაჭირვებაში და იბრძოდნენ მოსწავლეთა განვითარებისა და სრულყოფისათვის.

ვილი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგი, თითქმის ხუთი ათეული წელი ემსახურა განათლების სისტემას, კერძოდ 23-ე სკოლას. სულ პატარა ბიჭი იყო, როდესაც სკოლაში სამუშაოდ მივიდა, გამოუცდელი, ანთებული თვალებით და ბავშვების სიყვარულით სავსე. ზრდიდა თაობებს: შვილებს, მათ შვილებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, შვილიშვილებსაც კი.

რებაში მან დიდი როლი ითამაშა, წლიდან წლამდე, აყალიბებდა გუნდებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში და შემდეგ გაჰყავდა სასკოლო ოლიმპიადებსა თუ შეჯიბრებებზე. ის სულსა და გულს დებდა მათ მომზადებაში და ყოველთვის საპრიზო ადგილით ბრუნდებოდა. არაერთხელ გამიგია შეჯიბრებებზე: - აუფ, 23-ე სკოლა მოდის, დაგვანგრევს ეხლა და წავაო.



მეც ბატონი თამაზის გაზრდილი თაობიდან ვარ და არა მარტო გაზრდილი, აღზრდილიც. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მე და თამაზ მასწავლებელი, რომელიც ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს მასწავლიდა, კოლეგები გაეხდებოდით. 10 წელი მომიწია მის გარემოცვაში მუშაობა. ეს იყო საუკეთესო წლები. მან მასწავლა მოთმინება, გამძლეობა, ბავშვებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა ჩვენს საქმიანობაში. ბევრჯერ გამოუცდელს, ატირებულსა და გაბრაზებულს, გაკვეთილიდან გამოსულს ცხარე ცრემლით მიტირია, თამაზი მასწავლებლის ერთი ლიმონიანი სიტყვა წამალივით მერგებოდა და მამუშვიდებდა. დღეს რომ მე შემდგარი სპორტის პედაგოგი ვარ და ვამაყობ ამით, ეს ბატონი თამაზის დიდი დამსახურებაა.

მოღვაწეობა დაასრულა და სახლში დაბრუნდა, სადაც უსაყვარესი შვილიშვილები ელოდნენ. გადმოგვანახა 23-ე სკოლის სპორტული მუშაობა, მიხედვით, თქვენი იმედი მაქვსო. თამაზ მასწავლებელი, არ ინერვიულოთ, გავაგრძელებთ ღირსეულად თქვენს საქმიანობას, მიხედვით და პირობას გაძლევთ - 23-ე სკოლა კიდევ მრავალჯერ იამაყებს თავისი მოსწავლეებით და არაერთხელ დაიმსახურებს საპრიზო ადგილს სპორტულ ოლიმპიადებზე. რამდენიმე დღის წინ თამაზ ყაჭიშვილს 75 წელი შეუსრულდა. მინდა საჯაროდ, ყველას გასაგონად მივულოცო მას იუბილე და დიდხანს სიცოცხლე, დღეგრძელობა და ჯანმრთელობა ვუსურვო. თამაზ მასწავლებელი, გილოცავთ !!!

მარიანე ჯინჭარაძე

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ ახალი შეზღუდვები დაანონსა

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 28 ნოემბრიდან 31 იანვრის ჩათვლით, დიდ ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ფოთში, ზუგდიდში, თელავში, ასევე, სათხილამურო კურორტებზე – ბაკურიანში, გუდაურში, გოდერძსა და მესტიაში დაწესდება შემდეგი შეზღუდვები:

- ⇒ შეიზღუდება თბილისის, თელავის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთისა და ზუგდიდის საზღვრებში მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა;
- ⇒ სავაჭრო ობიექტები (გარდა სურსათის, ცხოველების საკვების, აფთიაქების, ვეტაფთიაქების, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის მაღაზიების, პრესის ჯი-ზურების) მუშაობენ დისტანციურ რეჟიმში;
- ⇒ არ იმუშავებენ დია და დახურული ბაზრობები, ფუნქციონირებას აგრძელებენ აგრარული ბაზრები;
- ⇒ სათხილამურო კურორტებზე:
- ✓ სასტუმროების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ საკარანტინე სივრცეების მოსაწყობად;
- ✓ ჩერდება სათხილამურო ტრასებისა და სათხილამურო საბაგიროების ფუნქციონირება;
- ⇒ ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციისა და მობილობის შემცირების მიზნით, უწყებათაშორისმა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, თელავის, გორის, ზუგდიდის, ფოთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი, 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, დისტანციურად წარიმართება;
- ⇒ უნივერსიტეტებს, რომლებიც ახორციელებენ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებს, უფლება ეძლევათ, პრაქტიკული/ლაბორატორიული/კლინიკური კომპონენტები წარმართონ არადისტანციურ რეჟიმში, ჯანდაცვის სამინისტროს

რეკომენდაციების შესაბამისად. – „სიტუაციიდან გამომდინარე, მედიცინის მიმართულება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, შესაბამისად, მედიცინის აკადემიური პროგრამები – უნივერსიტეტებში. ამიტომ უნივერსიტეტებს ექნებათ იმის უფლებამოსილება, რომ ამ პროგრამებზე პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები ჩაატარონ არადისტანციურად, რასაკვირველია, იმ სა-მედიცინო პროტოკოლის ზედმიწევნით დაცვით, როგორც აქამდე იყო.“ – განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

- ⇒ ძალაში რჩება უწყებათაშორისმა საბჭოს გადაწყვეტილება დიდი ქალაქების: თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთის, ზუგდიდის, თელავის, გარდაბნისა და მარნეულის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დისტანციურ რეჟიმში დასრულების შესახებ;
- ⇒ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სასწავლო პროცესს აგრძელებენ დისტანციურ რეჟიმში;
- ⇒ კერძო და საჯარო ბაღებში, როგორც აქამდე, ქვეყნის მასშტაბით, სააღმზრდელო პროცესი ისევ შეჩერებული იქნება.
- ⇒ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა სახის კონფერენციის, ტრენინგის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ ონლაინ ფორმატით.
- ⇒ სახელოვნებო, სპორტული წრეები და სტუდიები აჩერებენ მუშაობას ქვეყნის მასშტაბით.

✓ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს გადაადგილების შეზღუდვა 21:00 სთ-დან 05:00 სთ-მდე, ასევე, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა, კვების ობიექტების, ფიტნესკლუბებისა და აუზების საქმიანობის შეზღუდვა. დიდ ქალაქებში დაწესებული სხვა შეზღუდვები მოქმედებს მხოლოდ აღნიშნული ქალაქების მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში.

✓ დაწესებული აკრძალვების დარღვევის შემთხვევაში, ფიზიკური პირი/ინდივიდუალი დაჯარიმდება 2 000 ლარით, სოლო იურიდიული პირი – 10 000 ლარით. შეზღუდვები 2020 წლის 28 ნოემბრიდან ამოქმედდა.

